წელიწადი პირველი.

ცალკე ნომერი 3 კ.

თბილისი, ხუთშაბათი 22 ივნისი 1906 წ.

# ახალი ცხოვრება

თბილისი, ხუთშაბათი 22 ივნისი 1906 წ.

№ 3. ყოველ დღიური გაზეთი № 3.

პირველ ივლისიდან მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ გაზეთ

## „ახალ ცხოვრებაზე“

გაზეთი ეღირება:

**თფილისში**: წლიურათ—5 მ, ექვსი თვით—2 მ. 50 კ, თვიურათ—50 კ.
**ქალაქს გარეთ**: წლიურათ 6 მან. ექვსი თვით 3 მ., თვიურათ—60 კ.

**ცალკე ნომერი ყველგან 3 კაპ.**

ვინც გაზეთს წლის ბოლომდი გამოიწერს იმას გაზეთი 20 ივნისიდან 1 ივლისამდე უფასოთ დაეთმობა.

რედაქციის ადრესი: სემიონოვის ქუჩა № 4.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „Ахали Цховреба“

**თფილისის მუშები ერთდღიური გაფიცვით უჭერენ მხარს თფილისის სალდათებს.—ჯარში მღელვარება მატულობს.—ზოგან კაზაკებიც ილვიძებენ.—რუსეთში გაფიცვები ხშირდება.—მთავრობა მიწებს იპირება.—გლეხები უფრო იბრძვიან.—სათათბირო აუქმებს სიკვდილით დასჯას.—ვარშავაში კოჩაროვსკის უწყვეტენ სიკვდილით დასჯას.**

ამ წლის 19 აპრილიდან გამოდის ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ლამპარი“

ლამპარი წლიურათ ღირს თფილისში და თფილის გარეთაც 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., სამი თვით 2 მ. ორი თვით 1 მ. 50 კ., ერთი თვით 80 კ. თფილისში თვიურათ მუშებისთვის ღირს 60 კ. არამუშებისთვის ღირს 75 კ., ცალკე № ყოველგან 5 კ.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ редакція „Лампари“ მიხაილოვის ქუჩა სახლი № 12.

### რევოლიუცია და სათათბირო. *)

გავმარტოთ უფრო დაწვრილებით სათათბიროს დანიშნულება. მან უნდა ხელი შეუწყოს ბრძოლის სამზადის მტრის წინაამდეგ, რომლისთვისაც ხალხს რამდენჯერმე ალყა შემოურტყა, და რომელსაც მოუხერხებია სიკვდილის ხელიდან გასხლტომა, რომელიც მუდამ საბრძოლველ სამზადისში სდგას დარაზმული და აღჭურვილი, რომლის ხელშიაც არის სამხედრო ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვა, ჯოჯოხეთური ოსტატობით მოწყობილი ბევრჯელ ნაცადი პლევეს აპარატი, რომელსაც არც დაუნდობლობა აკლია, რაც ბრძოლის დროს დაუფასებელი სათნოებაა.

რათა მტერმა რაც შეიძლება ნაკლებათ მოახერხოს რევოლიუციის მახვილისაგან თავის დაღწევა, საჭიროა დიდი რევოლიუციონური ლაშქარი, აჯანყების აუცილებლობას შეგნებული, მწყობრათ დარაზმული, შეგნებულათ მოძრავი და ბრძოლის ხელოვნებაში განსწავლული. თვით ცხოვრება ამას უტყუარათ ხელს უწყობს. ამასვე უნდა შეუწყოს ხელი შეძლებისა დაგვარათ სოციალდემოკრატიამაც თვისი გავლენით სათათბიროზე, და სათათბირომ თვისი გავლენით ხალხზე.

მაგრამ ჯერ ეს უნდა გავიგოთ: ვინ ივარგებს სათათბიროში რევოლიუციონურ საყვირის ასაღებათ გარდა სოციალდემოკრატიისა, და ვის შეუძლიან ხალხში რევოლიუციონურ საყვირზე რევოლიუციონური ხმის მიცემა გარდა პროლეტარიატისა?

ზოგიერთებს ჰგონიათ, რომ ამ კითხვის გადასაწყვეტათ ორი სიტყვის თქმა კმარა: ჩვენი რევოლიუციაა ბურჟუაზიულია, მაშასადამე... ბურჟუაზიაც რევოლიუციონურიაო. მაგრამ მცირედი დაფიქრებაა საჭირო იმის მისახვედრათ, რომ აქ ზმაა, სიტყვის თამაშია. ბურჟუაზიაც არის და ბურჟუაზიაც. ბურჟუაზიის ერთმა ნაწილმა დავა თვითმპყრობელობასთან პრინციპიალურათ უკვე გაათავა და ახლა სიტყვების შადრევნები მხოლოთ ზავის უფრო სასურველ პირობებზე იხარჯება. და თუ გინდათ რომელიმე პოლიტიკურ ჯგუფს რევოლიუციონური წონა გაუშინჯოთ, ნუ დაემყარებით მის სიტყვებზე, ვინაიდგან სიტყვა თვინიერ საქმისა მკვდარ არს. ასეთი ქარაფშუტობა უკვე სანანებელი გაუხდათ რუსეთის ქალაქელ წვრილ ბურჟუაზიას, რომელმაც სათათბიროში კადეტები აირჩია, ეს სიტყვით „სახალხო თავისუფლების“ პარტია, საქმით-კი პარტია უსირცხვილო მაჭანკლობისა, ჩარჩები, რომლებიც იაფათ ნაშოვნ ხალხის ნდობას თვითმპყრობელობის პორთფელებზე ჰყიდიან! სოციალდემოკრატიამ არას დროს არ უნდა უღალატოს თვის ნაცად მატერიალისტურ მეთოდს, რომელიც არავითარ ღირებულებას არა ხედავს ფრაზებში, ყოველ პოლიტიკურ ჯგუფს ობიექტიურ მატერიალურ ინტერესებს უშინჯავს და ეუბნება: საქმემან შენმა გამოგაჩინოს შენო. ვინ არის დაინტერესებული რევოლიუციის ძლევამოსილ დაბოლოვებაში, თვითმპყრობელობის—ამ ბატონ-ყმობის პოლიტიკური ორგანიზაციის მოსპობაში? პირველ ყოვლისა ის, ვინც ბატონ-ყმობისაგან პირდაპირ და ყველაზე მეტათ იტანჯება ე. ი. გლეხკაცობა. მისი სურვილების განხორციელებას რევოლუცია ჯერ არც კი მიახლოვებია. მიწა!—ეს მისი ცხადლივ საგონებელი და სიზრმათ სანახავი, მისი ცოლი და შვილი, მისი ოცნება და ტრფიალება ჯერ მას ხელში არ არის და განა შეუძლიან მას მოსვენებით იყოს? მაგრამ ეს ცოტაა. ფეტიშისტური შეხედულება გლეხისა მიწაზე ნელნელა ქრება და უფრო სად პოლიტიკურ მსოფლიო მხედველობას უთმობს ადგილს. გლეხი ბევრჯერ შეხვდა პირისპირ აუარებელ მიწის დარაჯებს და ბოლოს როგორც იყო იმასაც მიხვდა, რომ თვითმპყრობელობა ეს მიწის სადარაჯო ორგანიზაციაა, მებატონეთა სისხლი და ხორცია. გლეხის ერთი მოთხოვნილება—„მთელი მიწაო“—დაუკავშირდა პროლეტარიატის ერთ უპირველეს მოთხოვნილებას—„სრული თავისუფლებაო“. „მთელი მიწა და სრული თავისუფლება“—ეს არის ის დიდებული დასკვნა, რომელიც უტყუარი თავდებია რევოლიუციის ბრწყინვალე გამარჯვებისა. მიუმატეთ ამას ის დედის მუცლიდან დაყოლილი, ღრმა ინსტიქტი მძულვარება გლეხისა ბიუროკრატიისადმი, რომელმაც მას უკანასკნელი სილბო გამოსწოვა და ეხლა ჩონჩხსაც არ ანებებს თავს,—ასეთივე ღრმა მძულვარება სამხედრო ბეგარისადმი, გააცნობიერეთ ეს ინსტიქტები, ეცადეთ, რომ ისინი არ გაიფლანგონ ფუქსავატ ბუნტებში და ყველა ეს გიჟური ნაკადულები ერთ დიდ და ფართო კალაპოტში მოქცეული მიუშვით ძველი წესრიგის დამპალ კედლებზე. (აი ვისთვის არის პროლეტარიატი საჭირო, როგორც მრავალ ქირნახული ლევი მხედართ მთავარი, და ვინ არის საჭირო პროლეტარიატისთვის როგორც მთავარი სიმაგრე, უდიდესი ლაშქარი).

მაგრამ დანარჩენი საზოგადოებრივი ჯგუფებიც არ წარმოადგენენ ერთი ჯიშის და ჯურის რეაქციონურ მასსას: ინტელიგენტმა პროლეტარმა ტელეგრაფისტის სახით უკვე დაამტკიცა თვისი რევოლუციონური უნარიანობა. იგივე ითქმის ქალაქის წვრილ ბურჟუაზიაზედაც, რომელმაც თვისი ეგრედწოდებული ფინანსიური ბოიკოტით ისე გამწარა მთავრობა, რომ ამ ბოიკოტის წინაამდეგ კანონიც კი გამოაცემინა. აი ესენი არიან რუსეთის ცოცხალი ძალები, რომელშიაც დაუშრეტელი რევოლიუციონური ენერგია იმალება. ამათ გამოსახმაურებლათ უნდა გამოიყენოს პროლეტარიატმა სათათბირო. სათათბიროს სისტიკი კრიტიკის ნიადაგზე დიდი მასების შემოკრება სათათბიროს რევოლიუციონურ უმცირესობის გარშემო—აი ტაქტიკა სოციალ-დემოკრატიისა სათათბიროს მიმართ. ამ მიზანსვე აღწევს ყოველი რევოლიუციონური ნაბიჯი სათათბიროსი, რადგანაც ასეთი ნაბიჯი მხოლოთ სათათბიროს უკიდურეს მემარცხენეთა ზედგავლენით გადიდგმება. უკიდურესი რევოლიუციონერი სათათბირო იქნება არა თვის „აქტიურ“ მოღვაწეობის დროს, რაც უნდა მაღლა სცემდეს მისი ენაწყლიანობის შადრევანი, არამედ თვისი დამხობის დროს, რადგანაც მისი როლი პასიურია და არა აქტიური. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სათათბიროს რევოლიუციონური ნაწილი გულ ხელ დაკრეფილი უნდა მოელოდეს ამ „სამგლოვიარო“ ბედს. დამხობილ, ავაზაკურათ მოკვდინებულ სათათბიროს ძვლებიდან, ის უნდა აღზდგეს გადახალისებული როგორც მზე, ძალით და ენერგიით სავსე ხელმძღვანელი აბობოქრებულ სტიქიისა. სათათბიროს მემარცხენეთაის აღმასრულებელი კომისია—ამას ვთვლით ჩვენპეტერბურგელ მუშებთან ერთად საჭირო პირველ ნაბიჯათ. მხოლოთ მაშინ შეიძლებენ კადეტთა ოსტატურ ორგინიზაციის გავლენისაგან განთავისუფლებას, და პირიქით ლაგამსაც ამოსდებენ მათ ურცხვ არამკითხე მაჭანკლობას ხალხის ზურგს უკან. შეიქმნა ასეთი ორგანიზაციისა ნამდვილი რევოლიუციონური აქტი იქნებოდა ის სათათბიროს ახალ უფრო რევოლიუციონურ საფეხურზე აიყვანდა. ეს ლოზუნგი არ არის ღიაკარის მტვრევის ტაქტიკა, როგორც მოთხოვნილება გორემიკინის სამინისტროს ალაგას სათაობიროს უმრავლესობისაგან შემდგარ სამინისტროს დაყენებაა; ამიტომ ის მეტ რევოლიუციონურ ენერგიას მოითხოვს; და ასეთი აღმასრულებელი კომისია შეიძლებს რევოლიუციის ახალ ზრდას ფეხდაფეხ მიყვეს და მის ხელში ასეთი მართლა რევოლიუციონური ლოზუნგები: როგორიც არის „აგრარული კომისიები“ და „მუშათა კითხვის გამოსაკვლევი კომისიები“ მასსის ნამდვილ საორგანიზაციო და სამობილიზაციო მოწოდებათ გადიქცევიან.

**ჯან ბეზარი.**

### სადღეისო კითხვები.

#### ბიუროკრატია და გლეხობა.

გახრწნილი და სულითმოძრავი ბიუროკრატია, ეტყობა ჯერ კიდევ იმედს არ კარგავს; ჩანს, იგი ჯერ კიდევ ფიქრობს, რომ მას სასიცოცხლო პირი აქვს და რევოლიუციაზე გაიმარჯვებს. იმ დროს, როცა თითქმის მთელმა ხალხმა მისგან ხელი აიღო, იმ დროს, როცა პროლეტარიატმა და სოფლის რევოლიუციონურმა გლეხობამ მთელი მისი მოქმედება დაგმო, იგი კიდევ ფიქრობს ხალხის დატყუილებას ძველი, მის მიერ კარგათ ნაცადი, ოინბაზობით.

თავის ორგანოში („მთავრობის მოამბეში“) ბიუროკრატიამ ამ დღეებში გამოაქვეყნა პროექტი გლეხების მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ სახელმწიფო სათათბიროში შესატანათ? რა გვარ ზომებს პირდება ბიუროკრატია გლეხებს მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ? ეს იგივე ძველი ზომებია, რომლებიც მას არა ერთხელ უცდია და რომელმაც გლეხები განადგურებამდე მიიყვანეს. მხოლოთ ეს დღეს, რევოლიუციის ზეგავლენით, ცოტა შეუფერავს, ახალ ქერქში გახვევა უცდია. მაგრამ ყველასათვის აშკარაა, რომ ბიუროკრატიას არა სურს გლეხებისათვის არც მიწა და არც თავისუფლება. მას მხოლოთ თავის ბატონობის შენარჩუნება სურს. გლეხებს იგი პირდება სახაზინო მიწების მიცემას სასარგებლო პირობებით. მაგრამ სახაზინო მიწებით სარგებლობა გლეხებს აქამდისაც შეეძლოთ, რამდენათაც ამას ბიუროკრატიის ინტერესები თხოულობდა. ბიუროკრატია პირდება აგრეთვე კერძო მემამულეებისაგან მიწის შეძენას საგლე-

*) იხილე № 2

ხო ბანკის საშუალებით, თუ ამაზე მემამულეები დათანხმდებიან და მიწებში კარგ ფასს აიღებენ. მაგრამ განა ეს აქამდის სხვანაირათ იყო? შემდეგ ბიუროკრატია გლეხებს ურჩევს ციმბირში და შუა აზიაში გადასახლებას, კიდევ ბევრ რამეებს პირდება გონება დაკარგული და გზაკვალდაბნეული ბიუროკრატია აჯანყებულ, რევოლუციურ გლეხობას, მაგრამ ყოველივე ეს დღეს აღარ გამოდგება. დღეს გლეხობა თავის ხსნას მხოლოთ თავის საკუთარ ძალისაგან მოელის და იგი ზიზღით უყურებს გახრწნილი ბიუროკრატიის „მეცადინეობას“ მის ინტერესებისათვის. გლეხობა ზიზღით შეხვდება და დაგმობს ბიუროკრატიის ახალ ჩხირკედელაობას. გლეხობამ იცის, თუ რა გზით და რა საშუალებით მოიპოვებს იგი მიწას და თავისუფლებას.

**სიკვდილით დასჯის საკითხი დუმაში.**

19 ივნისის სხდომაზე სახელმწიფო სათათბირომ ერთხმათ დადგინა სიკვდილით დასჯის მოსპობა ყველა დანაშაულობისათვის. ეს საისტორიო სხდომა იყო. სათათბირომ ასეთი დადგენილებით, საგრძნობელი ნაბიჯი გადადგა წინ. რა თქმა უნდა, ეს სრულებით იმას არ ნიშნავს, რომ ამიერიდან პოლიტიკურ მოღვაწეების სიკვდილით დასჯა მოისპობა, ვინაიდან ეს დღეს დუმაზე არ კიდია. დუმის დადგენილება და განაჩენი მხოლოთ მაშინ შევა ძალაში, მაშინ განხორციელდება, როცა მთელი დღევანდელი რეჟიმი, თვითმპყრობელობითი მართვა-გამგეობა ძირიანათ შეიცვლება და მის ადგილას თვით ხალხის თვითმპყრობელობა დაფუძნდება. ყოველ შემთხვევაში „დუმის“ მიერ სიკვდილით დასჯის გაუქმება ისეთი ენერგიული ზომაა, რომელსაც შეუძლია დუმის და მთავრობის შორის დამოკიდებულება გაამწვავოს და საერთო აჯანყების ხანა დაახლოვოს. ყველა, ვინც თვალს ადევნებდა ამ უკანასკნელ ორი თვის განმავლობაში რევოლიუციურ მოძრაობას, აშკარათ შეამჩნევდა, თუ როგორი მიმდინარეობა ემჩნევოდა ერთი მხრით სახელმწიფო „დუმას“ და მეორე მხრით რევოლიუციონურ ხალხს. იმ დროს, როცა სათათბირო ყოვლათ უმნიშვნელო „საქმიან“ პოლიტიკის გზას ადგა, ე. ი. ცდილობდა მშვიდობიანი გზით მუშაობას პარლამენტალურ ბრძოლის ნიადაგზე, გამოღვიძებული და რევოლიუციურ ბრძოლაში ჩაბმული ხალხი, განსაკუთრებით, პროლეტარიატი და გაჭირვებული გლეხობა, მისგან სულ სხვაგვარ მუშაობას თხოულობდა. ყველა მიტინგზე და კრებებზე „დუმას“ მოუწოდებდენ ბრძოლისათვის, რომ ხალხს არა სწამს დღეს მშვიდობიანი გზით მუშაობა, რომ ის მზათ არის ძალით დაიცვას თავის მოთხოვნები, რომ ამაოა ბიუროკრატიისაგან რასმის დათმობა. ამის დასამტკიცებელ საბუთს მთავრობა ყოველ ფეხის ნაბიჯზე იძლეოდა. იმ დროს, როცა „დუმა“ ამნისტიას თხოულობდა, ბიუროკრატია ახალ-ახალი მოღვაწეებით ავსებდა ციხეს, როცა „დუმა“ სიკვდილით დასჯის გაუქმებას თხოულობდა, მთავრობამ კიდევ უფრო დაუხშირა საუკეთესო მოღვაწეების დახვრეტა და ჩამოხრჩობა. და, აი, იმ დროს, როცა ყველა თავის მოთხოვნების გაყვანაში „დუმა“ უძლური იყო, და იქ მხოლოდ შალალფარდოვან სიტყვების რახა-რუხი გაისმოდა, რევოლიუციური ხალხი უფრო და უფრო ენერგიულათ აცხადებდა თავის მოთხოვნებს, თავის გადაწყვეტილებას: ან სიკვდილი ან სიცოცხლე, ან დღევანდელი მთავრობის ტახტიდან ჩამოგდება ან დამორჩილება. ამ პირობებში სახელმწიფო „დუმას“ არ შეეძლო სიკვდილით დასჯის კითხვის გარჩევის დროს, კიდევ ყოყმანი გამოეჩინა და დაუყონებლივ არ გამოეტანა დადგენილება მისი მოსპობის შესახებ. აქედან აშკარაა, თუ სად წყდება ჩვენი დღევანდელი არსებობის, ე. ი. რევოლიუციის ბედ-იღბალი: დუმაში თუ ხალხში; თუ ვინ აძლევს ტონს და მართულებას რუსეთის დიდ რევოლიუციას.

## პ რ ე ს ა

გაზ. „შრომა“ „სიამოვნებით უგებება“ „ახალ ცხოვრებას“, რისთვისაც დიდ „მერსი“-ს ვუძღვნით პატივცემულ „სოციალ-ფედერალისტებს“. მაგრამ ამავე დროს იგივე „შრომა“ „ცოტა რამ“ ფაქტებს ამახინჯებს, რა თქმა უნდა, თავის და უნებურათ. ეს-კი—ვერ კარგი, პატივცემულო ბატონებო! „შრომა ამბობს, რომ ბოლშევიკ-მენშევიკებ შორის

„განხეთქილება... კრების (სიეზდის) მერე დღევანდლამდე დღითი დღე იზრდება. ეს განხეთქილება განსაკუთრებით გამწვავდა პეტერბურგში, სადაც პარტიის ცენტრალური და ადგილობრივი პეტერბურგის კომიტეტები ერთი ერთმანეთის უარ მყოფელ ტაკტიკას უჭერენ მხარს.“

ჯერ ერთი, რომ პეტერბურგი რუსეთი არაა და რაც პეტერბურგზე ითქმის (თუ ითქმის) ის არ შეიძლება რუსეთზე ითქვას. მეორეთ, სიეზდის მერე არსად, არც ერთ ქალაქში არავითარი განხეთქილება არ ყოფილა და მაშასადამე არც გაძლიერებულა ბოლშევიკ მენშევიკებ შორის: ერთნიც და მეორენიც საერთო ორგანიზაციებში მუშაობენ, ორგანიზაციათა უმეტესობის გადაწყვეტილებას ემორჩილებიან და, მაშასადამე, მათ შორის მხოლოთ იდეიური უთანხმოება ყოფილა, რომელსაც განხეთქილება არ დაერქმევა; თვით პეტერბურგში, სადაც უთანხმოებამ მწვავე ფორმები მიიღო, გადაწყვიტეს, რომ რასაც პარტიის ადგილობრივ წევრთა უმეტესობა იტყვის, იმას უნდა დავემორჩილოთო. ეს-კი ოდნავათაც არ მოგვაგონებს იმ „განხეთქილების გაძლიერებას“, რომელზედაც ასე თამამათ მოგვითხრობს გაზ „შრომა“. მესამეთ, „შრომას“ დავიწყებია, რომ პეტერბურგისა და ცენტრალურ კომიტეტების გარდა პარტიაში არსებობს კიდევ ფართე პარტიული მასსა, ჩვენისთანა უბრალო მუშაკები, რომლებიც უმეტესობას შეადგენენ და რომლებიც მტკიცეთ ადგიან პარტიული მთლიანობის გზას: ამას-კი უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე პ. კ-სა და ც. კ-ას შორის კონფლიკტს.

შემდეგ „შრომა“ სწერს, რომ ვითომ „ახ. ცხოვრების“ აზრით „სახელმწიფო სათათბირო ვერასოდეს ვერ გადიქცევა ქვეყნის პოლიტიკურ ცენტრათ, ვერავითარ რევოლიუციონურ ხალხს ვერ შემოიკრებს და იძულებული გახდება რეაქციის სათრეველათ გადიქცეს“.

„ახალი ცხოვრება“ კი სხვანაირათ ლაპარაკობს. აი რას ამბობს ის:

„ანტირევოლიუციონური სათათბირო, რომელიც დაუდგრომლათ ებრძვის „მუშათა“ და „მშრომელთა“ რევოლიუციონერ ჯგუფებს, ვერასდროს ვერ გადიქცევა ქვეყნის პოლიტიკურ ცენტრათ“ და სხვა და სხვა (იხ. „ახ. ცხ.“ № 1.)

„შრომას“ რამდენიმე სიტყვა გამოუტოვებია ამ ადგილიდან და მით თავის დაუნებურათ გადაუბირებია „ახალი ცხოვრების“ აზრი.

* * *

არც „ლამპარს“ ეტყობა უსიამოვნობა ჩვენი გაზეთის გამოსვლის გამო. ეს არის, ძალიან გვემუქრებ: „ბოლშევიკების ტაქტიკის უვარგისობას სავსებით გამოაშკარავებთ.“ (იხ. ფელეტონი) და მართლაც შესდგომია „გამოაშკარავებას“, თუმცა ცოტა თავისებურათ, „ლამპარისებურათ“. აი, მაგალითათ, „ლამპარი“ „აშკარავებს“, რომ „ბოლშევიკებს და ბლანკისტებს შორის სრული თანხმობაო“. კეთილი მაგრამ ეს ხომ „გამოაშკარავება“, არაა ამხანაგებო: ამას დიდი ხანია გაიძახიან ხალხის მტერი კადეტები, თქვენ კაი ხანია იმეორებთ მათს ნათქვამს და ახლა სრულიათ მეტი იყო „გამოაშკარავებულის გამოაშკარავება“, საქმე იმაშია, რომ ერთი რამ დაგვიწყებიათ ამხანაგებო: ჩვენს „ბლანკისტობას“ დამტკიცება უნდა, დამტკიცებისთვის კი ფაქტებია საჭირო, რომლებსაც უეჭველათ მოგთხოვთ ყველა შეგნებული მკითხველი. რას მოაწოდებთ მაშინ ეკი-

## ფ ე ლ ე ტ ო ნ ი

### ეროვნული საკითხი.

ეროვნული საკითხი ისე თითქმის არსად არ გამწვავებულა, როგორც რუსეთში; ეროვნულ ჩაგვრას ისეთი მახინჯი ფორმები არსად მიუღია, როგორც აქ, ამ „ბნელეთის სამეფოში“. ერთი ეროვნების მეორეზე მისევა, ჩაგრულ ერების აკლებ-აწიოკება, ძირითადი ნაციონალ-კულტურული იარაღების წართმევა—აი ის საშუალებანი, რომლითაც უხვათ სარგებლობს რეაქცია რევოლიუციური თვითშეგნების შესაფერხებლათ. იმ ისტორიულ კვანძთა შორის, რომელიც გასკვნა თვითმპყრობელობამ და რომელიც უნდა გახსნას დემოკრატიულმა რევოლიუციამ—ეროვნულ საკითხს ძლიერ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. კითხვა იმაშია გახსნის თუ არა ამ კვანძს მომავალი რევოლიუცია და მომავალი დემოკრატია?

ჩვენ—სოციალდემოკრატებს მტკიცეთ გვწამს რომ ნაციონალური ჩაგვრის სავსებით მოსპობა, ერების სრული გათანასწორება და მათი შეკავშირება ერთს სოლიდარულ ოჯახში მხოლოდ მაშინ შეიძლება როცა გადაწყდება თანამედროვე საზოგადოების ძირითადი სოციალური საკითხი ე. ი. როცა მოისპობა კაპიტალისტური საზოგადოება და დამყარდება სოციალისტური წესწყობილება. სანამ არსებობს კლასობრივი ბრძოლა, იარსებებს ეროვნული ბრძოლაც, იმიტომ რომ ეს უკანასკნელი პირველთან მჭიდროთაა დაკავშირებული, იმიტომ რომ ეროვნული ბრძოლა ბურჟუაზიის ერთი ნაწილის მეორე ნაწილთან ბრძოლაა; ამიტომ ჩვენ — სოციალ-დემოკრატები ილიუზიებს, ცრუ ოცნებებს არავის ვუღვიძებთ, შეუძლებელს არავის ვპირდებით, კაპიტალისტურ საზოგადოების ფარგალში ეროვნული ჩაგვრის სავსებით მოსპობას არ ვკისრულობთ. ჩვენ გვაიძახით: ვისაც მართლა რადიკალურათ გსურთ ეროვნული საკითხის გადაწყვეტა, ვინც მართლა გულწრფელათ ეწინააღმდეგებით ეროვნულ ჩაგვრას, შემოკრბით, მხარი დაუჭირეთ იმ არმიას, რომელიც იბრძვის ყოველგვარი ჩაგვრის მოსასპობათ, რომელიც იბრძვის ჭეშმარიტი სოლიდარობის დასამყარებლათ: „შეუერთდით სოციალისტურ პროლეტარიატს!“

მაგრამ ჩვენი სოციალისტური რწმენა სრულიათაც არ ასუსტებს ჩვენს დემოკრატიულ მისწრაფებებს. მივისწრაფით რა სოციალისტური მიზნის განსახორციელებლათ ჩვენ გზა და გზა ვცდილობთ ფართო დემოკრატიის დამყარებას. ჩვენ ვცდილობთ გამოვგლიჯოთ კაპიტალისტურ საზოგადოებას ყველა ის, რისი დათმობაც მას შეუძლია თავისი საძირკველის შეურყევლათ: და ამგვარათ განვახორციელოთ დემოკრატიული რესპუბლიკა, ე. ი. ისეთი წესწყობილება, სადაც უზრუნველ ყოფილი იქნება ძირითადი მოქალაქობრივი უფლებები, სადაც გაუქმებულია მუდმივი ჯარი და ბიუროკრატია და სადაც ეკლესია განცალკევებულია სახელმწიფოსა და სკოლისაგან. სოციალურ შინაარსის მხრით დემოკრატია უმრავლესობის ბატონობის ფორმაა. აქ გაბატონებულია არა ბურჟუაზიის ის თუ ეს ნაწილი, როგორც მაგ. კონსტიტუციურ მონარქიაში, არამედ ბურჟუაზია როგორც ერთი მთლიანი კლასსი. ამიტომ ბურჟუაზიული საზოგადოების ფარგალში აღარ მოიძებნება სხვა პოლიტიკური ფორმა, რომელსაც მეტის მიცემა შეუძლია, ვიდრე დემოკრატიულ რესპუბლიკას.

დღეს რუსეთი სწრაფი ნაბიჯით უახლოვდება დემოკრატიულ რესპუბლიკას. თითქმის დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის დიადი რევოლიუცია, რომელსაც განიცდის ჩვენი ქვეყანა, ის დიადი რევოლიუცია, რომელსაც ხელმძღვანელობს გლეხობის და წვრილი ბურჟუაზიის თანაგრძნობით აღჭურვილი პროლეტარიატი, დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებით დამთავრდება. და თუმცა, როგორც ზევით ვთქვით ეს რევოლიუცია ვერ გააუქმებს კლასობრივ ბატონობას, ვერც კლასობრივ ჩაგვრას, მაგრამ ის მოსპობს ამ ბატონობის იმ მახინჯ ფორმებს, რომლებსაც ვხედავთ აბსოლუტურ და კონსტიტუციონალურ მონარქიაში.

რუსეთში გაბატონდება ბურჟუაზია, როგორც კლასი. დაინტერესებულია თუ არა ბურჟუაზიული კლასის უმრავლესობა—წვრილი ბურჟუაზია, გლეხობა—ეროვნულ ჩაგვრაში ისე, როგორც მსხვილი ბურჟუაზია? წინააღმდეგობას გაუწევს თუ არა ის ერების გათანასწორებას ისე, როგორც მსხვილი ბურჟუაზია? რასაკვირველია არა. იქ, სადაც დემოკრატიული რესპუბლიკა არსებობს, ეროვნული ჩაგვრა მინიმუმამდეა მისული, იქ, სადაც მსხვილ ბურჟუაზიას ფრთები აქვს შეკვეცილი, ეროვნების პოლიტიკური უფლებები საკმაოთ უზრუნველყოფილია. მაგ., შვეიცარიაში ეროვნულ ჩაგვრას თითქმის სულ არ აქვს ადგილი. რუსეთი კი დემოკრატიის გზაზე ბევრათ უფრო შორს წავა, ვიდრე შვეიცარიის რესპუბლიკა. თუ რუსეთში დემოკრატია დამყარდა, თუ განხორციელდა ყველა ის რეფორმები, რომლის განხორციელებაც შესაძლებელია ბურჟუაზიულ წესწყობილებაში, მაშინ ეროვნებათა მოქალაქობრივ უთანასწორობას, პატარა ერთა პოლიტიკურ ჩაგვრას და შეზღუდვას მნიშვნელოვანი ადგილი აღარ დარჩება. ამიტომ ჩვენ სოციალ-დემოკრატები არ ვეძებთ სხვა პოლიტიკურ ფორმებს ეროვნული თანასწორობის უზრუნველსაყოფელათ და ვამბობთ: ვისაც გულწრფელათ გსურთ დაასუსტოთ ეროვნული ჩაგვრა იმდენათ, რამდენათაც მისი დასუსტება შეიძლება კაპიტალიზმის ფარგლებში, შეუერთდით იმ არმიას, რომელიც იბრძვის ჭეშმარიტი დემოკრატიის დასამყარებლათ: „შემოკრბით პროლეტარიატის დროშის ქვეშ!“

მაგრამ პოლიტიკური უიმედობით გამსჭვალულნი, ზოგიერთი ჩვენი ამხანაგებიც ეჭვის თვალით უყურებენ დემოკრატულ რესპუბლიკას, და ეროვნებათა სწორუფლიანობის განსამტკიცებლათ განსაკუთრებულ პოლიტიკურ ფორმებს ითხოვენ ზოგიერთის აზრით ასეთი ფორმა ტერიტორიალური აკლონომია, კერძოთ ამიერკავკასიის ავტონომია.

ჩვენ გვგონია, რომ ისინი, ვინც ეროვნული ჩაგვრის მოსასპობათ ტერიტორი-

თხველს? ჩვენს ბლანკისტებთან შედარებას? ზოგად ფრაზებს? თუ შედარებით დამტკიცდება რამე, მაშინ იმის დამტკიცებაც შეიძლება, რომ თქვენ კადეტები ხართ: კადეტები კადეტის სამინისტროს ითხოვენ, თქვენც ამ ს ითხოვთ-მაშასადამე კადეტები ყოფილხართ! მაგრამ კარგა იცით, რომ ჩვენ ამისთანა ბრალს არა გდებთ, რატომ? იმიტომ რომ ცარიელი მსგავსებით, ცარიელი შედარებით, ვერა დამტკიცდება რა... დიახ... დიახ, საქმე ფაქტებშია და ჩვენც ამ ფაქტებს ველით.

*
* *

კადეტებს დიდი ხანია საღერღელი აუშალა მინისტრთა პორთფელების მოლოდინმა. „ხალხის თავისუფლების“ პარტია გაფაციცებით უთვალთვალებს მეფის მთავრობას და კამარილიას. ყოველი „მტკიცე“ ნაბიჯი ლახვარსავით ხვდება გულში. პოლიციის დეპარტამენტის დირექტორათ მხეცი ტრუსევიჩის დანიშვნამ მეტათ გააწიწმატა კადეტების გაზ. „პეტი“ და შემდეგი მუქარა წამოასროლინა მთავრობის მიმართ:.

„რა გინდ ზომებიც არ უნდა მიიღოს ტრუსევიჩმა და მისმა დეპარტამენტულმა დამქაშებმა, რუსეთში მაინც ექნება პასუხის მგებელი-სამინისსტრო, თუ არა და ჩვენი სამშობლოს ხელ ახლო ანარხია მოიცავდა. ეს მომავალი ანარქია კი შთანთქავს უკვალოთ ტრუსევიჩსაც, სტოლიპინსაც და იმ ბრწყინვალე წარჩინებულთაც, რომლებმაც დაღუპვის გზაზე დააყენეს.“

კადეტების გოდება და მუქარა ადვილი გასაგებია: „თუ პორთფელებს გვიბოძებთ რევოლუციას მოვსპობთ, თუ არა და — თქვენ (იქნება თქვენც, ბ. კადეტებო!) მოგსპობს რევოლუციაო“. ასე ვაჭრობენ ხალხის „ერთგული“ კადეტები. ცხოვრება კი სულ სხვას იძახის: რევოლუციას ვერ შეაჩერებს ვერც მთავრობის „მტკიცე“ გზა, ვერც კადეტების სამინისტრო.

---

ალურ და კერძოთ ამიერ-კავკასიის ავტონომიას ითხოვენ, პონტისგან პილატესთან გვისტუმრებენ. მართლაც და ვინ არ იცის, რომ დღევანდელ საზოგადოებაში არ არსებობს არსად ისეთი ცოტათ თუ ბევრათ მოზრდილი ტერიტორია, რომელიც მხოლოთ ერთი ერის წევრებით იყოს დასახლებული. ყოველ ტერიტორიაზე რამდენიმე ერის წევრები ერთი მეორეშია არეული, ყოველ ტერიტორიაზე არსებობს ერთი მეორეს გვერდით მრავალ რიცხოვანი და მცირე რიცხოვანი ერი. ამიტომ ტერიტორიალური ავტონომიის მოთხოვნა ხელსაყრელია სწორეთ იმ ერისთვის, რომელიც უმრავლესობას შეადგენს ამ ტერტორიაზე

ამიერ-კავკასიის ავტონომია სასარგებლოა თათრებისთვის და საზიანოა სომხებისთვის, ქართველებისთვის და განსაკუთრებით რუსებისა, ოსებისა და სხვა პატარა ერებისთვ ს; გარდა ამისა ტერიტორიალური ავტონომია სრულიადაც არ სპობს ეროვნულ შუღლს, არც ასუსტებს ეროვნულ ჩაგვრას, მას ეროვნული ბრძოლა მხოლოთ უფრო ვიწრო ფარგალში გადააქვს: პოლიტიკური ჰორიზონტის შევიწროება, პოლიტიკური ბრძოლის დახურდავება, კლასთა ბრძოლის დაწვრილმანება—აი რა მოაქვს ტერიტორიალურ ავტონომიას. კერძოთ ისინი ვინც ტერიტორიალურ ავტონომია ითხოვენ, ჩვენი ქვეყნის ბედს კულტუროსან რუსეთს აშორებენ და ველურ აზიას უკავშირებენ. ამ რეაქციურ მოთხოვნას შეგნებულმა პროლეტარიატმა ყოველი ღონისძიებით უნდა შეებრძოლოს.

მ ძ

---

ორივეს გადალეკავს პროლეტარიატის და გლეხობის მედგარი ძალა. თქვენი პლანები ფუჭი და ამაოა!

*
* *

კადეტები როგორღაც ძალიან ეტრფიან მუშათა პარტიის პარლამენტარულ ფრაქციას. ყველაზე უფრო მათ ისახარებს, რომ ფრაქციაში ერთ თავათ „მენშევიკები“ არიან.

„ს.-დემ. ჯგუფის მოღვაწეობის პროგრამაო, ამბობს გაზ. „პეტი“ ჯერ არ არის შედგენილი, მარა ამ პრაქტიკული პროგრამის საზოგადო საფუძველი ახლავე აშკარაა, ის „მენშევიკური“ იქნება“.

სათათბიროში რომ „ბოლშევიკები“ მოხვდიყვნენ, ეგენი თავიანთი შეურიგებლობით, დოგმატიზმით, განყენებულ პრინციპებზე ჩაციებით დიდ ხანს მოუშორდებოდნენ პროლეტარიატის საქმეს გვერდით, ... კადეტების, პროლეტარიატის საქმეზე ზრუნავენ“

ნეტა ვიცოდეთ, რატომ ასე ეტრფიან ბატონი კადეტები ამხ. მენშევიკებს? საწყალი „შეურიგებელი“ ბოლშევიკები, რომელნი ერთს გაუძლონ, რეაქციას თუ ენა წყლიან კადეტებს?

# ახალი ამბები

✦ როგორც გავიგეთ მთელ თბილისის ს. დ. ორგანიზაციას ე. ი. ს.-დ-მას სასაც და ხელმძღვანელ ორგანიზაციებსაც დღეისთვის გარდაუწყვეტიათ ერთდღიანი საერთო პოლიტიკური გაფიცვა, როგორც პროტესტი 27 სალდათის სამხედრო სამართალში მიცემის და საერთოთ სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ.

✦ **ვოდოპროვ-დჩიკების რეზოლიუცია.** ჩვენ თბილ. ვოდოპ. ცეხის პროფესიონალური კავშირის წევრები დაუყონებლივ მოვითხოვთ განთავისუფლებულ იქნას მინგრელსკი პოლკის 27 სალდათი. მასთან მოვითხოვთ გაუქმებულ იქნას სიკვდილით დასჯა. ხელს აწერს 114 კაცი.

✦ **ენფიანჯიანცის ქარხნის მუშებმა** გუშინ კრებაზედ ხელმოწერით გარდასწყვიტეს გაფიცვის გაგრძელება. კრების შოლოს ჰქონდათ ზოგიერთ კითხვის შესახებ ლაპარაკი და გამოიტანეს ერთი რეზოლიუცია: „ვუცხადებთ სასტიკ პროტესტს სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ და ვთხოულობთ მინგრელსკის პოლკის 27 სალდათის განთავისუფლებას.“

✦ ორშაფათს 19 ივნისს, **გაიფიცნენ** ქუთათელაძის სტამბის სოთ-ამწყობნი. თხოულობენ: „გაფიცვისთვის დათხოვნილ ამხანაგების უკან მიღებას, და ჯამაგირების მომატებას“.

✦ „შრომას“ გუშინ შემდეგი დეპეშები მიუღია:

**ყვირილა.** 20 ივნისი. გუშინ ყუმბარა ესროლეს ბოქაულის თანაშემწეს ნემსაძეს და მძიმედ დასჭრეს ფეხში. დარაჯებმა სროლა ასტეხეს; სტრაჟნიკებმა მოჰკლეს თერძი აბაშიძე და დასჭრეს ვაჭარი მახარაძე, ხოლო ყუმბარის გადამგდები მიიმალა. სალდათები გულგრილად შეხვდნენ ამბავს და სროლაში მონაწილეობა არ მიიღეს.

✦ **ჭიათურა,** 20 ივნისი გაფიცვა დასრულდა და მუშაობა მადნებში დღეს უნდა დაიწყოს.

# პარტიის ცხოვრება

## წესდების პროექტი

თბილისის ორგანიზაციისა რ. ს.-დ. მუშათა პარტიისა, მიღებული სარაიონოთაშორისო კრებისგან.

(დასასრული *)

§ 6 ძირითადი ორგანიზაცია იკრიბება აუცილებლათ კვირაში ერთხელ მაინც. არა ჩვეულებრივი კრებები ინიშნება ან რაიონულ კომიტეტის სურვილით, ან და ძირითადი ორგანიზაციის წევრთა ერთი მესამედის მოთხოვნით.

§ 7. ძირითად ორგანიზაციების წარმომადგენლები შეადგენენ რაიონულ კომიტეტს.

§ 8. რაიონული კომიტეტი ავტონომიურათ განაგებს საქმეებს თავის რაიონში შესახებ ორგანიზაციისა, პროპაგანდისა და აგიტაციის მოწყობისა. რაიონული კომიტეტი ირჩევს რაიონულ კასსირს, რაონულ ორგანიზატორს, რაონულ ტრანსპორტიორს, რაიონულ ორგანიზატორს, რომელიც უნდა ზრუნავდეს პოლიტიკურთა დახმარებაზე და ერთ რაიონულ ლიტერატორს.

§ 9. რაიონულ კომიტეტს უფლება აქვს ფურცლები გამოუშვას იმ ამბებზე, რომლებიც მის რაიონში ხდება.

§ 10. რაიონულ კომიტეტს აქვს თავისი კასსა, სადაც მის შემოსავლიდან იტოვებს გადაჭრილ პროცენტს და დანარჩენს კი თბილისის კომიტეტის კასსაში გზავნის.

§ 11. რაიონული კომიტეტის ჩვეულებრივი კრება კვირაში ერთხელ მაინც უნდა ხდებოდეს. არაჩვეულებრივი კრება ინიშნება ან თბილისის კომიტეტის წარმომადგენლებისაგან, ან რაიონულ კომიტეტის ერთი მეოთხედი წევრების მოთხოვნით.

§ 12. რაიონული კომიტეტი ყოველთვიურათ ბეჭდავს თავის რაიონის შემოსავალ-გასავალის ანგარიშს.

შენიშვნა: რაიონული კომიტეტი ადგენს კომისსიას თანამოაზრე მოქალაქეთა შორის ფულის მოსაგროვებლათ.

§ 13. ადგილობრივ ორგანიზაციის ხელმძღვანელია თბილისის კომიტეტი, რომელიც შესდგება რაიონულ კომიტეტის მიერ ამორჩეულებისაგან,

შენიშვნა: რაიონული კომიტეტები ირჩევენ თავიანთ შორის წევრებს თბილისის კომიტეტისთვის პროპორციონალურათ, თითოს ყოველ 15-პარტიის წევრზე.

§ 14. თბილისის კომიტეტი ხელმძღვანელობს მთელ ადგილობრივ პარტიულ საქმეს, ეწევა სიტყვიერ და მწერლობით აგიტაციას, განაგებს ორგანიზაციის კასსას და მთელ წარმომადგენლათ ითვლება, როგორათაც სხვა ორგანიზაციებთან, ისე საზოგადო დაწესებულებებთან და პოლიტიკურ პარტიებთან მოლაპარაკებაში.

შენიშვნა: კომიტეტი თავის წევრებში ირჩევს შემდეგ პირებს: „დოკლადჩიკებს“ რაიონულ კომიტეტებისთვის, ერთ ტეხნიკს, ერთ კასსირს, ერთ ლიტერატორს, ერთ სეკრეტარს, ერთ ორგანიზატორს, ერთ წითელი რაზმების ორგანიზაციისათვის, ერთ სალდათების კომისსიისათვის და ერთ გლეხების კომისსიისათვის.

§ 15. ყველა ისეთი კითხვა, რომელიც მასსის რევოლიუციონურ გამოსვლას შეეხება, იჭრება მთელი ორგანიზაციისაგან.

§ 16. კომიტეტის ყოველი დადგენილება, თუ ის კონსპირატიული არაა, აუცილებლათ უნდა გადადიოდეს ორგანიზაციის ყველა წევრებში, რაიონულ კომიტეტების შემწეობით.

§ 17. ყოველი წინადადება, წამოყენებული პარტიის 500 წევრისგან, ან და მთელი რაიონისაგან, აუცილებლათ უნდა გადატანილ იქმნას კომიტეტის მიერ ორგანიზაციის ყველა წევრებში. ყოველ ამისთანა შემთხვევაში უმეტესობისაგან გამოთქმული აზრი ითვლება, სოც.-დემ. მუშ. ორგანიზაციის დადგენილებათ.

§ 18. ყოველდღიური საქმეების გასაძღოლათ კომიტეტი ირჩევს აღმასრულებელ კომისიას, რომლის ფუნქციებს თითონვე საზღვრავს.

§ 19. კომიტეტის ჩვეულებრივი კრებები იმართება ყოველკვირა. არაჩვეულებრივ კრებებს კი იწვევს ან აღმასრულებელი კომისია ან კომიტეტის წევრთა ნახევარი რიცხვი.

§ 20. კოოპტაცია ისპობა. ყოველ ორგანიზაციას აქვს უფლება მოიწვიოს ამხანაგი სათათბირო ხმით.

§ 21. ყოველი ორგანიზაცია ირჩევა ექვსი თვით.

შენიშვნა: ყოველ ორგანიზაციონულ კრებას უფლება აქვს უკან გამოიწვიოს თავისი ამორჩეული წარმომადგენელი.

§ 22- უკეთუ ამრჩეველთა უმეტესობა უკმაყოფილოა არჩეული ორგანიზაციით, მაშინ უკანასკნელი სტოვებს თავის ადგილს.

---

**სტალრების ცეხი** (მეორე რაიონის პოდრაიონი) 20 ამ თვეს მოხდა პარტიული კრება სტალრებისა რეორგანიზაციის წესდ. პროექტის განსახილველათ. დიდი ხნის კამათის შემდეგ ერთხმათ მოიწონეს მთელი პროექტი (37 ხმა). შემდეგი დამატებით: პუნ. 5. ძირითადი ორგანიზაციის წარმომადგენლის მოვალეობას მოემატოს შემდეგი მოვალეობაც. ამომრჩევლების მიერ შემუშავებული გადაწყვეტილებანი გადაიტანოს რაიონ. კომიტეტში, რის შემდეგაც უსაფუძლოდ უნდა იქმნას გადატანილი ძირითადი იმ რაიონის ორგანიზაციებში საიდანაც გამომდინარეობს წინადადება.

პუნ. 6. ძირითადის ორგანიზაციის კრება იმართება კვირაში ერთხელ, არაჩვეულებრივი კრებას იწვევს რაინ. კომ ან თუ ამას მოითხოვს ძირით. ორგან. წევრების ერთი მეოთხედი.

მეთორმეტე პუნ. შენიშნავს. რაიონ. ადგენს კამისსიას რომელიც ფულს აგროვებს თანამოაზრეებში. ყველა რაონ. კომ. უფლება აქვს აგროვოს ფული თავის ტერიტორიაში.

მეთოთხმეტე, პუნ. კომიტეტი ირჩევს თავის შორის ერთ დაკლადჩიკს და სხვა და სხვა.

არ უნდა ქონდეს არც ერთ კომისიის წევრს უფლება თავის ნებით შეიყვანოს კომისიაში ვინმე წევრათ. პუნ. 20 კოოპტაცია ისპობა. ყველა ორგანიზაციას აქვს უფლება მოიწვიოს სათათბირო ხმით ამხანაგი მხოლოდ იმ პირობით, რომ არავითარი ფუნქცია არ მიანდოს მას.

# რუსეთი

✦ **ჯარი ღელავს.** 9 ივნისს ოსოვეცში არტილერისტებმა მორიგ ოფიცერს ქვები დაუშინეს. უწესოება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ერთ როტას სამუშაო ქირა არ მისცეს. ამას გარდა ერთმა როტამ განაცხადა, ყაზახები შეურაცხყოფენ ჩვენს მშობლებს და ნათესავებს სოფელშიო. ქვეითი ჯარის იმ როტას, რომელიც ბელოსტოკში წავიდა ებრაელთა ჟლეტის დროს, არტილერისტებმა უსტვინეს. ყაზახებს ლანძღავენ და აგინებენ. ერთ აფიცერს შეშით სცემეს. ღამ-ღამობით სალდათები მიტინგებს მართავენ. მეორე ბატალიონი აჯანყებას ურჩევს დანარჩენ ჯარს.

— კურსკში 13 ივნისს არტილერისტების, კონვოის და სხვა ჯარის კაცების მიტინგი გამართეს. მიტინგს გარს ერტყა შეიარაღებული სალდათები, რომელნიც ყაზახების და პოლიციის დაცემისაგან იცავდენ ამხანაგებს. ორატორი-სალდათები ცხარე სიტყვებით სტუქსავდენ მთავრობას და აცხადებდენ, ჩვენ მზათ ვართ დაჩაგრული ხალხის მხარეზე გადავიდეთო.

— სამხედრო მინისტრს დაწვრილებითი მოხსენება მიუვიდა ვლადივოსტოკის ამბე-

*) იხილე „ახალი ცხოვრება“ № 1.

ბის შესახებ. იქაურ ჯარს, გარდა ეკონომიურისა პოლიტიკური მოთხოვნებიც წამოუყენებიათ. სალდათებსა და მატროსებს შორის სრული თანხმობაა; ისინი ერთათ მოქმედობენ მთავრობის წინააღმდეგ.

— სევასტოპოლში ყოველ დღე, შებინდდება თუ არა, ყველა სამხედრო გემებიდან მარსელიეზას სიმღერა მოისმის—ეს თავისუფლების მოტრფიალე მატროსები მღერიან თავის საყვარელ სიმღერას, მთავრობა ამ საქმეში არ ერევა.

— 10 ივნისს მე-18 სამთო ბატარეიაში' რომელიც კავკავთან დგას სალდათები აჯანყდენ. მღელვარებამ თან და თან იმატა, 13 ივნისს აჯანყებულებმა ს მჯერ ზარბაზანი გაისროლეს და რევოლვერები დაუშინეს იმ ბატარეებს რომელნიც მხარს, არ უჭერდენ. რამდენიმე ჯარის კაცია დაშავებული, ერთი მძიმეთ დაჭრილა. 14 ივნისს სალდათებმა აფიცრების კლუბი დაარბიეს. მთავრობამ ერთ ბატარეიას ი რაღი აჰყარა

— ყაზახთა სტანიცების (სოფლების) უმეტესობას განუცხადებია სამხედრო სამინისტროში ჩვენ ამიერიდან აღარ გავალთ პოლიციურ მოვალეობის შესასრულებლათო.

— კრასნოე სელოში დაბანაკებული ჯარის ზოგიერთი უფროსები დაჟინებით მოითხოვენ, ჯარი პეტერბურგის ყაზარმებში გადაიყვანოთ, რადგან აქ ყოველ დღე მიტინგებს მართავენ და პოლიტიკურ ამბებზე მსჯელობენო.

✦ **გაფიცვები მატულობს.** გაიფიცენ: პაბიანიცში ათასი მუშა.

— ტომაშოვში ყველა საქსოვი ქარხნები.

— ზოლოტოვოში ბარიატინსკის საქსოვი ქარხანა და კოჩუბეის ეკონომია.

— კონსტანტინოვში პოპოცენკოს მაუდში მომუშავეები.

— ბახმუტში პეტროვსკის ზავოდები.

— კალიშაში მაუდის ქარხანა.

— პლოცკში და სერპუხოვში პურის მცხობელები.

— მოსკოვში პერლოვის ფირმის მუშები.

— ლოძში კრუშეს ქარხანა.

— ვარშავაში ყველა მჭედლები.

✦ **გლეხების მოძრაობა უფრო და უფრო ფართოვდება.** ამ ბოლო დროს შემდეგ ადგილებში იფეთქა გლეხთა მღელვარებამ: ბოგდანოვში, მორშანსკში, უსმანში, კოსტრომის, პოლტავის, კურსკის, ჟიტომირის და ცარიცინის გუბერნიებში.

გლეხთა მოძრაობა რუსეთში თანდათან ღრმავდება და შეგნებულ ხასიათს ღებულობს; გლეხები ახლა და ახლა ნამდვილ პროლეტარულ ზომებს მიმართავენ, საოცარის თანახმობით იფიცებიან და მტკიცეთ ადგანან თავიანთ მოთხოვნებს, როგორიცაა მაგალითათ: სამუშაო დღის შემოკლება, ქირის მომატება და სხვა.

✦ **ბელოსტოკის ხოცვა-ულეტის მიზეზი.** დაბა ზაბლუდოვკაში, რომელიც ბელოსტოკის ახლოს მდებარეობს, შეიპყრეს ის გლეხი, რომელმაც ბელოსტოკში პროცესიას რევოლვერი ესროლა. გლეხი გამოტყდა, მე ვესროლე პროცესიას, რადგან სამაგიეროთ კარგი სასყიდელი ამითქვესო. ზაბლუდოვკაშიც „პოგრომის„ დასაწყებათ მოვედიო, გულახდილათ განუცხადებია მთავრობის მიერ მოყიდულ გლეხს.

✦ **მუშათა დეპუტატების საბჭოს წევრთა საქმის გარჩევა** გუშინ, 20 ივნისს დაიწყებოდა. გარეშე ხალხს ქანდარაზე არ შეუშვებენ. წინეთ ფიქრობდენ თითო „დამნაშავისთვის“ სამ სამი ბილეთი მიეცათ იმ ნათესავებისთვის გადასაცემათ, რომელნიც გასამართლებაზე დასწრებას მოისურვებდენ, მარა ახლა გადაუწყვეტიათ მხოლოთ თითო ბილეთი დაურიგონ. საქმის გარჩევა 12—14 დღე გაგრძელდება.

# მუშების ცხოვრება.

## წესდების პროექტი კარეტნიკების პროფესიონალური კავშირისა.

(დასასრული) *)

**კავშირის წევრები.** 1) კავშირის წევრად მიიღება ყველა მუშა კარეტნიკების პროფესიისა განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა და პარტიული რწმენისა.

2) კავშირი შესდგება ნამდვილ და დამხმარე წევრებისაგან. ნამდვილ წევრებად მიიღებიან ყველა მუშები კარეტნიკების პროფესიისა, ვინც თვიურ საწევრო გადასახადს იხდის, ხოლო არ ჩაითვლებიან ასეთ წევრებათ ის პირნი, ვინც კავშირს მიზნის განსახორციელებლათ მარტო დახმარება უწევს.

შენიშვნა: კარეტნიკების პროფესიონალური კავშირის წევრათ არ მიიღებიან სეხეს ლოსნოს პატრონები—ხაზეინები.

3) ახალ წევრების მიღებისათვის საჭიროა თავდებობა ორი წევრის და კავშირის საქმეების გამგეობის.

**კავშირის საშუალებანი.** 1) კავშირის საშუალება უნდა იყოს: ა) ერთდროული საწევრო გადასახადი კავშირში შესვლის დროს 40 კაპ. ქარგლებზედ და ერთი აბაზი შეგირდებზედ, ბ) ყოველ თვიური გადასახადი ქარგლებზედ 40კ., ხოლო შეგირდებზედ 20 კაპ. გ) კერძო შემოწირულება და შემოსავალი წარმოდგენების დადგმით.

2) კავშირს შეუძლია შეიძინოს უძრავი და მოძრავი ქონებაც.

3) საწევრო ფული უკან არავის არ უბრუნდება.

4) მთელი შემოსავლის ნახევარი, შეუძლია დახარჯოს კავშირის ჩვეულებრივ საჭიროებისათვის საქმეების გამგეობამ, ხოლო მეორე ნახევ რი კავშირის საერთო კრების სურვილისამებრ ხმარდება გაფიცვას.

**კავშირის გამგეობა.** 1) კავშირის საქმეებს განაგებს წევრთა საზოგადო კრება და გამგეობა.

2) საზოგადო ჩვეულებრივი კრება ხდება თვეში ერთხელ, წასულ თვის ანგარიშის განსახილველად და დასამტკიცებლად, მომავალ თვის ხარჯთაღრიცხვის შესადგენათ. ასეთი კრება ირჩევს გამგეობის წევრებს სარევიზიო კომისიას, მათ კანდიდატებს და არკვევს ყველა უმთავრეს კითხვებს კავშირის ცხოვრებიდამ.

3) წევრთა არაჩვეულებრივ საერთო კრებას იწვევს გამგეობა, სარევიზიო კომისია ან წევრთა ერთი მეხუთედი ნაწილი.

4) საზოგადო კრება კანონიერია, თუ მაზე გამოცხადდა ნახევარზე მეტი წილი წევრებისა.

5 კავშირის აღმასრულებელ ორგანოდ ითვლება კავშირის ბიურო, რომელიც პასუხისმგებელია წევრთა საზოგადო კრების წინაშე.

## უსაქმოთ დარჩენილები.

**— უსაქმოთ დარჩენილთა მოწოდ ბა.** ამხანაგებო მუშებო და მოქალაქენო! ეფენჯიანცის, საფაროვის, ბოზარჟიანცის და „მირის“ თამბაქოს ფაბრიკის მუშებმა ამას წინეთ მოთხოვნები წარუდგინეს ხაზეინებს, რაზედაც უარი განუცხადეს მათ, რისთვისაც მუშები იძულებული გახდენ გაფიცვა გამოეცხადებინათ. მეხუთე კვირაა რაც გაფიცვა გრძელდება. ხაზეინები წინდაწინვე შეერთდენ სინდიკატათ, რათა წინააღუდგენ მუშების სამართლიან მოთხოვნილებათ და გასტეხონ შიმშილით მუშების ერთობა. ხაზეინებმა ისარგებლეს რა რეაქციით არამც თუ არ დაუთმეს მუშებს, პირიქით დახურეს ფაბრიკები და ასობით ცოლშვილიანი მუშები ქუჩაში შამშილისა და გაჭირვების კერძათ დაყარეს რითაც კიდევ უფრო გაამრავლეს უსაქმოთ დარჩენილთა რიცხვი. უკიდურესმა მდგომარეობამ აიძულა მუშები ბოიკოტი გამოეცხადებინათ ზემო დასახელებულ ფაბრიკების საქონლისათვის. ჩვენ უერთდებით მუშების ასეთ გადაწყვეტილებას და მოუწოდებთ მოქალაქეთ ენერგიულათ დაუჭირონ მხარი ბოიკოტს და მით დაეხმარონ რეაქციის მხვერპლს კაპიტალისტების გაუმაძღარ მისწრაფებასთან ბრძოლაში.

უსაქმოთ დარჩენილთა საბჭო,

# დეპეშები

## („პეტერბურგის სააგენტოსაგან“)

**პეტერბურგი.** 19 ივნისი. ოფიციალური. „პრავიტელსტვენი ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია, გლეხთა მიწათფლობელობის გასაუმჯობესებლათ მთავრობამ სახელმწიფო სათათბიროში შემდეგი კანონ-პროექტი შეიტანა: 1) გადაეცეს გლეხებს მათთვის ხელ საყრელ პირობებში ის სახაზინო მიწები, რომლებიც გამოდგება სახნავ—სათესათ; 2) რადგანაც სახაზინო მიწები ვერ დააკმაყოფილებს გლეხებს, სახელმწიფოს ხარჯზე უნდა შეისყიდონ კერძო პირებისგან, მათი თანხმობით, მიწები; 3) სახელმწიფოსგან შესყიდულ კერძო მიწებს იყიდიან გლეხები იმ ფასში, რომელიც მათთვის საძნელო არ იქნება; 4) ის მიწები, რომლებსაც სახელმწიფო გლეხებს აძლევს, არ შეიძლება გადაეცეს ისეთ პირს, რომელიც გლეხთა წოდებას არ ეკუთნიან; 5) დახმარება უნდა აღმოუჩინონ გადასახლებულებს, გადასახლების და ახალ ადგილას მოწყობის დროს; 6) იმ გლეხს, რომლებსაც გადასახლება, ან სხვა რამე ხელობის დაწყება სურთ, უნდა გაუადვილდეს მიწების გაყიდვა; 7) ის მიწები, რომლებითაც საზოგადოება 23 წლის განმავლობაში დაუყოფლათ სარგებლობდა, უნდა დაუმტკიცდეს ხსენებულ საზოგადოებას; 9) იმ გლეხს, რომელიც საზოგადოებიდან გავა, ნება ეძლევა დაიმტკიცოს თავის კერძო საკუთრებათ ის მიწა, რომელიც მან იყიდა; 10) საზოგადოებებს უფლება ეძლევათ როგორც უნდათ ისე მოიხმარონ ის მიწები, რომლებიც საზოგადოებას ეკუთვნის, მთავრობა კი თვალყურს ადევნებს მათ, რომ კანონი დარღვეული არ იქმნას; ამას გარდა მთავრობა ყოველივე ღონეს იხმარს, რომ გაუადვილოს გლეხებს ციმბირში და შუაგულ აზიაში გადასახლება. გლეხების მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ, გარდა ზევით ჩამოთვლილ ზომებისა, შედგენილი იქნება კომისიები, რომლებშიაც გლეხებისაგან არჩეული კაცებიც შევლენ. ეს კომისიები გამოიკვლევენ ვინ უფრო გაჭირვებულია უმიწობით და გლეხთა ბანკების საშუალებით აყიდვინებენ გლეხებს კერძო პირებისგან მიწებს. რაც შეეხება იმ აზრს, რომელსაც ახლა გლეხებში ავრცელებენ — ვითომ მიწაზე კერძო საკუთრება არ უნდა იყოს, და ვითომც მიწა იმათ ეკუთნის ვინც იმაზე მუშაობს, და ამიტომ კერძო პირებს მიწა უნდა ჩამოერთვას და მიწის მომუშავეებს უნდა გადაეცესო, — ეს აზრი მთავრობას არ მოსწონს და ყოველივე ღონეს იღონებს, რომ კერძო საკუთრება წმინდათ იქმნას დაცული; თვითონ გლეხებიც უნდა ცდილობდენ, რომ კერძო საკუთრება არავის ჩამოერთვას, რადგანაც, თუ დღეს თვითონ გლეხები წაართმევენ მემამულეებს მიწებს, ხვალ შეიძლება გლეხებს წაართვან. რუსეთის გლეხობამ უნდა იცოდეს და არ უნდა დაივიწყოს, რომ არეულობით და ძალდატანებით კი ვერაფერს მოიპოვებს, არამედ მშვიდობიანი შრომით და ხელმწიფე იმპერატორის მათზე მზრუნველობით.

**პეტერბურგი,** 19 ივნისი. კადეტთა პარლამენტარულმა ფრაქციამ სახელმწიფო სათათბიროში ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების კანონ პროექტი შეიტანა. კანონ პროექტის ძირითადი თვისებები შემდეგში მდგომარეობს: შეუძლებელია მოქალაქეობრივი თავისუფლების განხორციელება და ხალხის სულიერი და მატერიალური განვითარება, თუ ბეჭდვითი სიტყვის მტკიცე თავისუფლება არ არსებობს. ბეჭდვითი სიტყვა არაფერით არ უნდა იქმნას შევიწროებული, თუ ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით დარღვეული იქმნა რომელიმე მოქალაქის კერძო ცხოვრების ხელუხლებლობა, მხოლოდ მაშინ შეიძლება პასუხისგებაში მიეცეს ის პირი, რომელიც არღვევს მოქალაქის რომელიმე უფლებას. დამნაშავე ნაფიცმა მსაჯულებმა უნდა გაასამართლონ. გაზეთების და ჟურნალების გამოცემის ნება ყველა მოქალაქეს უნდა ჰქონდეს; არავითარი ნებართვა არ უნდა იყოს სავალდებულო. გაზეთების ნომრების კონფისკაცია უნდა მოისპოს. საზღვარ-გარეთელი გაზეთები თავისუფლათ უნდა იყიდებოდეს; 1903 წლის კანონის შეცვლამდის 129 მუხლის კანონის დატოვება შეუძლებელია.—იმ პოდკომისიაში, რომელმაც უნდა განიხილოს საარჩევნო უფლების და სოფლის მუშების დაქირავების კანონ პროექტი, ამოირჩიეს მშრომელთა ჯგუფის 4 წევრი, 5 კადეტი, 3 ავტონომისტი და 3 პარტიის გარეთ მდგომი ადგილობრივ მიწათმფლობელობის კომიტეტების კანონპროექტის კომისიაში აგრარულმა კომისიამ აირჩია 4 მშრომელთა ჯგუფის წევრი, 5 კადეტი, 1 ავტონომისტი, 3 მემარჯვენე და პარტიის გარეშე მყოფი.

**პეტერბურგი,** 20 ივნისი. ის ხმები ვითომც ბელოსტოკში სამხედრო მინისტრმა თავისი რწმუნებულები გაგზავნა ებრაელთა აწიოკების გამოსაკვლევათ, სიმართლეს მოკლებულია. —სარატოვის ს.სამართლომ გაათავა ოქტომბერში მომხდარ ებრაელთა აწიოკების მიზეზების გამოძიება. როგორც აღმოჩნდა აწიოკება ვიცე გუბერნატორის და პოლიციის წყალობით მომხდარა.

**პეტერბურგი,** 20 ივნისი. უმაღლესი ბრძანებით ოდესის მაზრაში და ხერსონის გუბერნიაში საომარი დროის წესები გამოცხადდა.—დღეს დაიწყო მუშათა დეპუტატების საქმის გარჩევა. სასამართლოს შენობას აუარებელი ჯარი, პოლიცია და ჟანდარმები არტყია გარს, შენობაში არავის არ უშვებენ. გამოწვეულია 450 მოწმე. 100 კაცი არ გამოცხადდა. მოწმეების უმეტესობა ციხეში ნამყოფი მუშებისგან შესდგება. 52 ბრალდებულია. იმათ იცავს 28 კაცი. შეიძლება საქმის გარჩევა გადაიდვას, რადგანაც ბევრი მოწმეები არ მოსულან. თუ გარჩევა დაიწყო ერთ თვეს არ გათავდება.

**ეკატერინოსლავი.** 20 ივნისი. სლავიანო-სერბთა საერობო საბჭომ შეატყობინა ადმინისტრაციას: საერობო კრება არ ირჩევს წარმომადგენელს მიწათა მოწესრიგების კომისიაში რადგანაც კრების აზრით ეს ადმინისტრაციის საქმე არ არის, ეს საქმე სახელმწიფო სათათბირომ უნდა გაარჩიოს.

**ვარშავა** 20 ივნისი. სამხედრო სასამართლომ გლეხ კოჩაროვსკის სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა სტრაჟნიკის მოკვლისთვის.—გლეხებმა დასჭრეს საერობო დარაჯი ზემბიცვი. ერთ-ერთ ქუჩაზე მძიმეთ დასჭრეს უბნის ზედამხედველი.

**ტულა,** 20 ივნისს. აქ აგრარული მოძრაობა ძლიერდება დასწვეს რამდენიმე შენობა

**ატკარსკი,** 20 ივნისი. რამდენიმე მაზრაში გლეხები გაიფიცენ და სდევნიან იმ მუშებს, რომლებიც იაფათ მუშაობენ იურიევიჩის ეკონომიას დაწვას უპირობენ. მემამულეებმა გუბერნატორს ჯარის გამოგზავნა სთხოვეს.

*) იხ. „ახალი ცხოვრება“ № 2.

რედ.-გამომცემელი ნ. ახმეტელაშვილი

მსწრაფ-მბეჭდავი „ლამპარი“ სემენოვის ქუჩა № 4.